საქართველოს მთავრობის

დადგენილება №624

2020 წლის 15 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) და დადგენილებით დამტკიცებულ „იზოლაციისა და კარანტინის წესებში“:

1. 16^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^4 მუხლი:

„მუხლი 16^4. თბილისის მუნიციპალიტეტი და იმერეთის რეგიონი

თბილისის მუნიციპალიტეტისა და იმერეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე რესტორნები/ბარები/კაფეები ფუნქციონირებენ 07:00 საათიდან 22:00 საათამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 19 ოქტომბრიდან; ხოლო დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 16 ოქტომბრის 22:00 საათიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**